ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №162

19 ივნისი 2013 წ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად, თვითმმართველი ორგანოს მიერ 2013 წელში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- დავით შარაშიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - წევრი;
- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - წევრი;
- ნინო სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;
- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - წევრი;

- ირაკლი მეგრელიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელი მშენებლობის საკითხებში.

2. დაევალოს ინსპექირების ჯგუფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2013 წელში განხორციელებული შესყიდვების (სოფლის მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურის პროგრამებით შესყიდული მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 მაისის ბრძანება N124 ,,მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*